ბანკის ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული "პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების" 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ "პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების 2.1.2.16 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   „2.1.2.16 კომპანიის სასარგებლოდ პოს ტერმინალების მიწოდება, უკან წამოღება, მონტაჟი, დემონტაჟი და მათი სრული მომსახურება უზრუნველყოს ბანკის კონტრაქტორი სერვისების მიმწოდებელი კომპანიის თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტებს;"

2. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების დანართი N1-ის მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   „3. ბანკს არ ეკისრება თიფის თანხის განთავსების ანგარიშიდან კომპანიის მიერ კომპანიის თანაშრომლ(ებ)ისთვის თანხის გადარიცხვისა ვალდებულება."

3. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების დანართი N3-ის მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   „4. ბანკს არ ეკისრება მადლობის თანხის განთავსების (მენეჯერის) ანგარიშიდან კომპანიის/მენეჯერის მიერ სხვა თანაშრომლ(ებ)ისთვის მადლობის თანხის გადარიცხვის ვალდებულება."

4. წინამდებარე დოკუმენტის 1-3 პუნქტებით განსაზღვრული ცვლილებები ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებისთანავე.